

საქართველოს კანონი

"ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. "ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39, 2007 წელი,) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"გ) საქართველოს დაზვერვის სამსახური;"

2. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საქართველოს დაზვერვის სამსახური: მოიპოვებს და შემდეგ ამუშავებს ინფორმაციას საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს სათანადო ორგანოებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს კონტრტერორისტულ ოპერაციებში.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი